ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 11.06.24

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი /სიითი N/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 005/24

I. **შეკითხვა**

როგორც მოგეხსენებათ, 2024 წლის 28 მაისს, ამოქმედდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხსენებული კანონის არაერთი მუხლი (მე-4 (4), მე-6 (1), მე-8 მუხლები) ითვალისწინებს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისგან გარკვეული ინფორმაციის, მათ შორის, პერსონალურ მონაცემებისა და საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას. კანონის ჩანაწერი არის ძალიან ფართო და ზოგადი ხასიათის. ამდენად, არსებობს საფრთხე კანონი სხვა ინფორმაციებთან ერთად, ასევე, გავრცელდეს იურიდიული დახმარების შედეგად მიღებულ ინფორმაციებზეც.

ამ დროისთვის გახლავართ ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, ადვოკატი. საქმიანობას ვახორციელებ ორგანიზაციაში, რომელიც შესაძლოა დაექვემდებაროს „უცხოური გავლენის

გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სუბიექტად რეგისტრაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, გასცეთ რეკომენდაცია და მომცეთ განმარტება, რამდენად შეიძლება ხსენებული კანონი წინააღმდეგობაში მოდიოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და 38-ე მუხლებთან იმ შემთხვევაში, თუ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადვოკატებს მოეთხოვებათ იურიდიული დახმარების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის წარდგენა და რამდენად ჩაითვლება სახელმწიფო უწყებისთვის ჩემს წარმოებაში არსებულ საქმეებზე ინფორმაციის გადაცემა ადვოკატის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევად.

II. ანალიზი

კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის შეკითხვა განსახილველია პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისა და ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით:

„ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.1);

“ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2.2);

“ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1);

“ადვოკატი ვალდებულია: ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად; ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1);

„ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ: ა) კლიენტის თანხმობით; ბ) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებლია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 7.3);

ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს...(„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1.2). ადვოკატის პროფესია ძირითადად დარეგულირებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება ნორმათა კოლიზია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონს შორის, ამ უკანასკნელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რადგან სპეციალურად არეგულირებს საადვოკატო საქმიანობას.

შეკითხვიდან გამომდინარე, კოლეგია ყურადღებას გაამახვილებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის შემდეგ მუხლებზე:

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია...“ („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 4.4);

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო

ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.“ („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6.1);

„უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი – საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.“ („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1);

„მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.“ („უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 8.3);

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოაღნიშნული მუხლებიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლებამოსილება აქვს მოიძიოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები და საიდუმლო ინფორმაცია. აღნიშნულ ფარგლებში შესაძლოა მოექცეს ადვოკატის პროფესიული საიდუმლოებაც, რადგან „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონით გამონაკლისის სახით, შეზღუდულია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის მოძიება. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი კი ადვოკატს ავალდებულებს, გასული დროის მიუხედავად, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება.

ამასთან, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების თანახმად, ამ პუნქტის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში, შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა მიიღონ/გამოსცენ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტები და უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა. იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლოა აღნიშნულმა კანონქვემდებარე აქტებმა სპეციალურად მოაწესრიგონ ადვოკატების მიერ უფლებამოსილი პირისთვის ინფორმაციის

წარდგენის ვალდებულება, წინამდებარე რეკომენდაცია კი გაცემულია ზემოაღნიშნული აქტების გამოცემამდე და ზოგად ჩანაწერებზე დაყრდნობით, რეკომენდაციამ შესაძლოა სრულად ვერ ასახოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოლეგიის პოზიცია.

ადვოკატის ურთიერთობა კლიენტთან უნდა იყოს დაფუძნებული იმ ფუნდამენტურ და სახელმძღვანელო პრინციპებზე, რომლებსაც განსაზღვრავს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები, მათ შორის საადვოკატო საქმიანობისას ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია დამოუკიდებლობა და კონფიდენციალობის დაცვა.

კონფიდენციალობა კანონის უზენაესობას ემსახურება, ის ადვოკატსა და მის კლიენტს შორის ნდობის საფუძველია. ადვოკატი შებოჭილია კონფიდენციალობის ვალდებულებით, რაც დროში შეუზღუდავია. კონფიდენციალობა კი ვრცელდება კლიენტთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე, მიუხედავად იმისა რა წყაროდან ფლობს ადვოკატი ამ ინფორმაციას. (ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (Model Code of Conduct for European Lawyers 2021).

1. ინფორმაცია, რომელზეც ვრცელდება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა არის „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის საფუძველზე ხორციელდება საადვოკატო საქმიანობა. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ნებისმიერ ინფორმაციაში იგულისხმება არა მხოლოდ უშუალოდ კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია, არამედ კლიენტის შესახებ სხვა ნებისმიერი წყაროდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება არ არის დროში შეზღუდული. (ეთიკის კომისიის 2012 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება N094/11 დისციპლინური საქმეზე).

საქმის მასალები კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაციაა და ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ამ მასალებზე წვდომა არ ჰქონდეთ მესამე პირებს, რომლებსაც საქმესთან შემხებლობა არ აქვთ. (ეთიკის კომისიის 2014 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება N054/13 დისციპლინური საქმეზე).

შესაბამისად, რადგან კონფიდენციალურია ყველა ინფორმაცია, რომელიც არ არის საჯარო და უკავშირდება კლიენტის საქმეს, ადვოკატის მიერ იურიდიული დახმარების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას.

2. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დასაშვებობა

ეთიკის კოლეგია განმარტავს, რომ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილებას (და არა ვალდებულებას) „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლი პირდაპირ და ამომწურავად განსაზღვრავს. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლებამოსილება ადვოკატს აქვს ოთხ შემთხვევაში: 1) კლიენტის თანხმობისას; 2) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება

წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; 3) იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ადვოკატის მიერ მისი მოთხოვნის დასაბუთებისას და 4) იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას. ამ ნორმაში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია და მისი განვრცობა დაუშვებელია. შესაბამისად, ვერ გავრცელდება ვერც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის ინფორმაციის გადაცემაზე, როგორც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საგამონაკლისო წესი.

გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა განსაკუთრებულ ნდობაზეა დაფუძნებული, კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერი გათქმით და მხარეებს შორის ჩამოყალიბებული ნდობის ხელყოფით, ადვოკატი არამარტო თავის რეპუტაციას აყენებს ზიანს, არამედ საფრთხეს უქმნის მთლიანად ადვოკატთა კორპუსს და აზიანებს საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი არსებულ ნდობას. შესაბამისად, საადვოკატო პროფესიაში კონფიდენციალობის დაცვის გამკაცრებული მოთხოვნა, პროფესიის საერთო კორპორაციული ინტერესებიდან გამომდინარეობს და მოითხოვს ადვოკატისგან წინდახედულებას, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, არ დაარღვიოს კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ არ გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საქართველოს კანონმდებლობლობით მკაფიოდ განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევები, ადვოკატი ვალდებულია, განუსაზღვრელი ვადით შეინახოს ინფორმაცია კონფიდენციალურად. ამასთან, მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა კანონმდებლობის განსაზღვრული საგამონაკლისო გარემოებები, ინფორმაციის გამჟღავნება ადვოკატის უფლებამოსილებაა. მესამე პირები ვერ დაავალდებულებენ ადვოკატს გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2023 წლის 07 აპრილის N004/23 რეკომენდაცია).

ამრიგად, ადვოკატმა იურიდიული დახმარების ფარგლებში მიღებული ინფორმაცია არ უნდა გაამჟღავნოს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რასაც ითვალისწინებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და პროფესიული ეთიკის კოდექსი.

3. ხელშეუხებელი ინფორმაციის დაცვის უპირატესობა

პროფესიული საიდუმლოების ცნება მოიცავს როგორც კონფიდენციალურ, ისე ხელშეუხებელ ინფორმაციას. საქართველოს კანონმდებლობით, კონფიდენციალური ინფორმაცია ხელშეუხებელი ინფორმაციისაგან (ადვოკატ-კლიენტის პრივილეგიისაგან) გამიჯნული არ არის და პრაქტიკაში ხშირად ხდება მათი გაიგივება. ხელშეუხებელია ის ინფორმაცია, რომელიც საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ადვოკატისათვის სამართლებრივი დაცვის მიღების მსურველი პირისაგან უშუალო კომუნიკაციის შედეგად გახდა ცნობილი.

კოლეგია განმარტავს, რომ განსხვავებით კონფიდენციალობისაგან, რომელიც ეთიკური ვალდებულებაა, ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია წარმოადგენს ადვოკატისთვის კანონმდებლობით

მინიჭებულ უფლებას, არ გაამჟღავნოს კლიენტთან უშუალო კომუნიკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მისი დაცვის სტანდარტი უფრო მაღალია.

პრივილეგიით დაცულია ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაცია, რაც მხოლოდ კლიენტის თანხმობით შესაძლებელია გამოიყენოს ადვოკატმა, ხოლო კონფიდენციალობა იცავს საქმის წარმოებისას მიღებულ სხვა ინფორმაციას, რომლის გამოყენების წესები ითვალისწინებს გამონაკლისებს, მათ შორის, გარკვეულ შემთხვევებში კლიენტის თანხმობის გარეშე. პროფესიული პრივილეგია და კონფიდენციალობა განიხილება როგორც მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და კანონის უზენაესობის მიღწევის საშუალება.

4. პარალელი სხვა საკანონმდებლო აქტებთან:

4.1. პარალელი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონთან

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს შესაბამისი ცნობის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის აღნიშნული კანონითა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ნორმატიული აქტით დადგენილი ფორმითა და წესით წარდგენას. ამავე კანონის მე-7 მუხლის 1^1 ნაწილი გამონაკლისის სახით ადგენს, ადვოკატის მიერ ამ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არსებობს თუ ეს არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრულ პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების არსებობას მართლმსაჯულების განხორციელებისა და ადვოკატის პროფესიის მიმართ ნდობის შენარჩუნებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ, მეტი დაცულობისთვის, პირველ ეტაპზე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული გარიგების თაობაზე ინფორმაციის გადაცემისას ადვოკატთა ასოციაცია ასრულებდა შუამავლის როლს ადვოკატსა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს შორის. ადვოკატთა ასოციაცია დამატებით ამოწმებდა შეემოწმებინა, ინფორმაციის გადაცემით ირღვეოდა თუ არა ადვოკატის პროფესიული საიდუმლოება.

„ადვოკატის ასოციაციის, როგორც მნიშვნელოვანი ფილტრის საჭიროებაზე და ადვოკატის მიერ შეტყობინების ვალდებულების ევროკონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის დადგენისას ერთ-ერთ გადამწყვეტ მნიშვნელობაზე დეტალურად იმსჯელა ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლომ საქმეში CASE OF MICHAUD v. FRANCE, 12323/11 06/12/2012, &129. სასამართლოს აზრით, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს არ აქვს ფორმალური როლი, არამედ ის დეტალურად სწავლობს, ინფორმაცია წარმოადგენს თუ არა კლიენტ-ადვოკატის ხელშეუხებელ ინფორმაციას და თუ არ წარმოადგენს, არსებობს თუ არა კანონის შესაბამისად ეჭვის საფუძველი,

რომელიც ასეთი ინფორმაციის კომპეტენტური უწყებისთვის მიწოდების ვალდებულებას წარმოშობს. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში ადვოკატის ასოციაციის ფილტრად გამოყენების შესაძლებლობის გამოყენება ადვოკატების მიერ საეჭვო გარიგებებზე სამსახურისთვის შეტყობინების გაგზავნისას." (გასიტაშვილი ე., ზამბახიძე თ., კორძახია ი., ლორია ა., მესხიშვილი ქ., მოლიტერნო ჯ., ხუბულური თ., იურიდიული ეთიკა, ა. ლორიას რედაქტორობით, თბილისი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 282). აღნიშნული ფილტრებისა და შუამავალი რგოლების არსებობა განპირობებულია კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის სენსიტიურობითა და მისი დაცვის მნიშვნელობით.

შესაბამისად, კანონმდებელმა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში მე-7 მუხლის 1[1] ნაწილის მოწესრიგებით, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ადვოკატის პროფესიული საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობას და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამონაკლისი დაადგინა.

4.2. ხელშეუხებელი (პრივილეგირებული) ინფორმაცია სისხლის სამართლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსების მიხედვით

კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებასთან ერთად, პროფესიულ საიდუმლოებასთან დაკავშირებით, არსებობს ადვოკატის უფლება არ მისცეს ჩვენება (პრივილეგია).

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოწმის სახით ჩვენების მიცემისას მოწმედ დაკითხვისა და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება: ა) ადვოკატს – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში ადვოკატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; ბ) ადვოკატს, რომელიც იურიდიულ დახმარებას უწევდა პირს დაცვის მიღებამდე – იმ გარემოების შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევასთან დაკავშირებით".

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 141-ე მუხლის მიხედვით, მოწმედ არ შეიძლება დაიკითხონ წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე, ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას. ამავე კოდექსის 142-ე მუხლის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებულნი არიან დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი გათავისუფლებულნი არ არიან ამ მოვალეობისაგან.

„ადვოკატ-კლიენტის პრივილეგია კანონის მეშვეობით ინფორმაციის დაცვა უფროა, ვიდრე ადვოკატის ოფიციალური მოვალეობა. ვინაიდან ადვოკატები კლიენტის სახელით მოქმედებენ, მათ ევალებათ მოპოვებული ინფორმაციის გულმოდგინედ დაცვა. პრივილეგია კი ადვოკატს იცავს, არ გაამჟღავნოს კლიენტისგან მიღებული და/ან კლიენტის შესახებ ინფორმაცია გამომძიებლებისა და სასამართლოს წინაშე." (გასიტაშვილი ე., ზამბახიძე თ., კორძახია ი., ლორია ა., მესხიშვილი ქ.,

მოლიტერნო ჯ., ხუბულური თ., იურიდიული ეთიკა, ა. ლორიას რედაქტორობით, თბილისი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2023, 157).

მაშინ, როცა ადვოკატები როგორც სამოქალაქოსამართლებრივად ისე სისხლისსამართლებრივი წესით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან ჩაყენებულები და განთავისუფლებულნი არიან ვალდებულებისგან გაამჟღავნონ ისეთი ინფორმაცია/ დოკუმენტი, რომელიც მოიპოვეს კლიენტთან კომუნიკაციის შედეგად, სხვა საკანონმდებლო აქტებითაც არ უნდა დაეკისროთ მათ ასეთი ვალდებულება.

4.3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის ინფორმაციის მიწოდება

ადვოკატი ვალდებულია, იმოქმედოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის არ გადასცეს ეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, რადგან აღნიშნულმა შესაძლოა, დააზიანოს თავად იმ პირის ინტერესები, რომელსაც ადვოკატი უწევს ან ადრე უწევდა იურიდიულ მომსახურებას. ამასთან, ეს ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს, არა მხოლოდ კლიენტის, არამედ სხვა პირების შესახებ ინფორმაციასაც, რომლის ინსპექტორისათვის გადაცემამ და შემდგომ დამუშავებამ შესაძლებელია, დააზიანოს ამ პირთა ინსტერესებიც. ამასთან, კომისიამ განმარტა, რომ ადვოკატის პროფესიული საქმიანობის მომწესრიგებელი კანონმდებლობიდან არ გამომდინარეობს ადვოკატის უფლება, პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია მიაწოდოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს შესაბამისი მოთხოვნისას (ეთიკის კომისიის 2018 წლის 17 ივლისის N007/18 წერილობითი რეკომენდაცია).

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადვოკატს, როგორც ფიზიკურ პირს, შესაძლოა დაეკისროს უფლებამოსილი პირისთვის პირადი ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება, მაგრამ არა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის.

5. ადვოკატის დამოუკიდებლობის პრინციპი

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი დამოუკიდებლობის პრინციპს, ადვოკატის პროფესიული საქმიანიბის მნიშვნელოვან გარანტიად მიიჩნევს: „საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: ... საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტი), „საადვოკატო საქმიანობის პრინციპია საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე“ პუნქტი). ადვოკატი დამოუკიდებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატმა არ უნდა დაუშვას მის საქმიანობაში რაიმე სახით ჩარევა ან ასეთი ჩარევის შესახებ ეჭვის გაჩენა, თუნდაც აღნიშნული კლიენტის მითითებებიდან გამომდინარეობდეს.

ეთიკის კოლეგიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით N057/10 საქმეზე, ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები ოთხ კატეგორიად დაყო, ესენია: სახელმწიფოსაგან, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისაგან, დამოუკიდებლობა; მესამე პირების, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგების, ზეგავლენისაგან დამოუკიდებლობა;

კლიენტისაგან დამოუკიდებლობა და დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივი საკითხების თაობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის N1/6/1424,1490 გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის მე-3 წინადადების თანახმად, „ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული კონსტიტუციური დებულებით - ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელების დანაწესით დაცულია თითოეული ადვოკატის ინდივიდუალური უფლება, ავტონომიურად და ყოველგვარი სახელმწიფოებრივი თუ სხვა გარეშე აქტორის ჩარევისგან დამოუკიდებლად, დაშინების, შეფერხების, შევიწროებისა და გაუმართლებელი ბარიერების დაწესების გარეშე მოახდინოს, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, მის პროფესიასთან დაკავშირებული უფლებების რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ვალდებულია, ერთი მხრივ, თავად გაუმართლებლად არ ჩაერიოს ადვოკატის საქმიანობაში, ხოლო, მეორე მხრივ, მას, როგორც სამართლის მაძიებელი პირის კვალიფიციურ იურიდიულ მრჩეველს, შეუქმნას დამოუკიდებლად საქმიანობისთვის საჭირო გარანტიები, რაზე დაყრდნობითაც ადვოკატი შეძლებს თავისი საქმიანობის წარმართვას ყოველგვარი გარეშე ზეწოლისა და ჩარევისგან თავისუფლად.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადვოკატის საქმიანობის ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით, პრინციპულად არასწორი იქნებოდა, ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელების ნაწილში, მხოლოდ სუბიექტურ კონსტიტუციურ უფლებაზე ყურადღების გამახვილება. ბუნებრივია, ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი რეალიზაციისთვის სათანადო საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა და, აქედან გამომდინარე, მისი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით აღჭურვა როგორც მისი ინდივიდუალური უფლებების, ისე კლიენტის ინტერესების ეფექტურად დაცვას და რეალიზაციას ემსახურება, თუმცა ხსენებული გარანტიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთრივ მართლმსაჯულების სისტემის სათანადოდ ფუნქციონირებისთვის. ადვოკატის ინდივიდუალური თავისუფლება, დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მართლმსაჯულების ხარისხს და მისდამი საზოგადოების ნდობას.

ადვოკატთა თვითორგანიზების უფლების კონსტიტუციური უზრუნველყოფა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გულისხმობს არა ინდივიდუალური ადვოკატის თვითორგანიზების უფლებას, არამედ ადვოკატთა კორპუსის/ერთობის კოლექტიურ უფლებას, შექმნან დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოსაგან ჩარევის, მისი დიქტატის გარეშე გადაწყვეტს ადვოკატის პროფესიასთან და მის განვითარებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. კერძოდ: უფლებას, თავად განსაზღვრონ ადვოკატის პროფესიის მიზნები და დაადგინონ პროფესიაში შესვლის წინაპირობები; განსაზღვრონ, პრაქტიკაში რა გზით უზრუნველყონ მაღალი პროფესიული სტანდარტები მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისას; როგორ განავითარონ ადვოკატის პროფესია და იზრუნონ კვალიფიკაციის ამაღლებაზე; განსაზღვრონ განვითარების

მიმართულებები და პრიორიტეტები; თავად შეიმუშაონ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურა და შედეგები; მოახდინონ ადვოკატის პროფესიის წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცრება და განსაზღვრონ მათი დაძლევის ეფექტიანი გზები; აირჩიონ ხელმძღვანელი ორგანოები და შეიმუშაონ წესდებები ამ მიზნების უზრუნველსაყოფად; ერთობლივად იზრუნონ ადვოკატის პროფესიის პრესტიჟისათვის, ადვოკატთა რეპუტაციის დასაცავად, თავიანთი უფლებებისათვის, ხალხის ნდობის მოსაპოვებლად; გადაწყვიტონ ადვოკატის ლიცენზიის მოპოვებასთან თუ დაკარგვასთან, ასოციაციის საწევრო გადასახადთან დაკავშირებული საკითხები; დაამყარონ ურთიერთობები უცხო ქვეყნების ადვოკატთა მსგავს ასოციაციებთან, ისევე, როგორც სხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებთან; შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივი პროექტები ადვოკატის როლისა და დანიშნულების უკეთ უზრუნველყოფის მიზნებისათვის; დამოუკიდებლად დაგეგმონ და გადაწყვიტონ ასოციაციის ბიუჯეტის შედგენასა და ხარჯვასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ადვოკატთა თვითორგანიზების“ კონსტიტუციურ უფლებაში ამოკითხვადია არა ინდივიდუალური ადვოკატის უფლება, თავისი საადვოკატო საქმიანობა დაგეგმოს და წარმართოს საკუთარი შეხედულებების, სურვილებისა და პრიორიტეტების მიხედვით, არამედ ადვოკატთა კორპუსის კოლექტიური უფლება, დამოუკიდებლად მოახდინოს ადვოკატის პროფესიისა და საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა. იგი მოიცავს და გულისხმობს ადვოკატთა ორგანიზაციული ერთობის ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, მათი თვითრეგულირების უფლებას, შესაძლებლობას, სახელმწიფოსა და გარეშე პირების ჩარევისგან დამოუკიდებლად თავადვე განსაზღვრონ ადვოკატის პროფესიის მისია, მიზანი და მათ მისაღწევად აუცილებელი გზები და საშუალებები. ბუნებრივია, ამ საკითხების გადაჭრა ადვოკატთა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს და საჭიროებს, ვინაიდან იგი მხოლოდ მთელი ადვოკატთა კორპუსის საერთო ნებისა და თანხობის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. ამგვარად, „ადვოკატთა თვითორგანიზების“ უფლება, თავისი არსით, ადვოკატების ერთობლივი, კოლექტიური უფლებაა. სწორედ ეს მახასიათებელი აყალიბებს თვითორგანიზების კონსტიტუციური უფლების არსს.

ამრიგად, ადვოკატმა არ უნდა დაუშვას მის საქმიანობაში მესამე პირის ჩარევა და დამოუკიდებლად უნდა წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები.

6. დაცვის უფლების განხორციელება

პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპი დაცვის უფლების გარანტიაა და დაცულია როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობით. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების განხორციელება პირდაპირ დაკავშირებულია ადვოკატის ვალდებულებასთან, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება. ეს ვალდებულება რომ არ არსებობდეს, კლიენტი არ გადასცემდა ადვოკატს ინფორმაციას/სწორ ინფორმაციას, არ გაუზიარებდა შესაბამის დოკუმენტებს, რაც შეუძლებელს გახდიდა დაცვის უფლების სრულყოფილ განხორციელებას.

„ადვოკატთათვის პროფესიული საიდუმლოების დაცვის მთავარი მიზანია კლიენტის წახალისება, ენდოს ადვოკატს და ხელი შეუწყოს ადვოკატსა და კლიენტს შორის ღია კომუნიკაციას. ივარაუდება, რომ ამ წახალისების გარეშე კომუნიკაცია არ შედგებოდა. შესაბამისად, ამ პრინციპით უზრუნველყოფილია კლიენტის უფლების დაცვის საიმედოობა და სანდოობა, რაც, თავის მხრივ, იცავს ადვოკატის პროფესიას და ადვოკატთა თავისუფალ და დამოუკიდებელ საქმიანობას. კონფიდენციალური ინფორმაციის მიღება უკავშირდება „ადვოკატის ფუნქციის არსს“ და კონფიდენციალობა განიხილება როგორც „ადვოკატის ძირითადი უფლება და მოვალეობა“ (ხუბულური თ., სტატია პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გამოთხოვისას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების შეფასების სტანდარტი, ლადო ჭაქტურია 60, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, დიმიტრი გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2023, 403).

„იურიდიული რჩევის დოქტრინის შემზღუდველი და მაკონტროლებელი სისტემა ეფუძნება სამართლის უზენაესობის რწმენას, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის კომუნიკაცია, როდესაც კლიენტებს ადვოკატებისგან, მათ სამართლებრივ უნარებზე დაყრდნობით, სამართლებრივი დახმარების მიღების იმედი აქვთ, დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ არ მოექცევიან არანაირი კრიტიკის ქვეშ, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი - იქნება ეს პოლიცია, აღმასრულებელი, ბიზნესკონკურენტი, ინკვიზიციური ინსტიტუციის წარმომადგენელი თუ ვინმე სხვა პირი.“ (Three Rivers District Council and others (Respondents) v. Governor and Company of the Bank of England (Appellants), გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატა [2005], A.C.610, იხ. წიგნიდან მოლიტერნო ჯ. და ჰარისი ჯ. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები, ი. ჯაფარიძის თარგმანი, ე. გასიტაშვილისა და ი. კორძახიას რედაქტორობით, თბილისი, 2014, 119.)

ადვოკატის დახმარებით სარგებლობა და საადვოკატო მომსახურების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების განუყოფელი ნაწილია და დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკით, დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს, ამავე კანონის პირველივე მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფაა. ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა კი გამჭვირვალეობაზე ვერ იქნება დაფუძნებული, ამ ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი კონფიდენციალობაა. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის გამჭვირვალეობა წინააღმდეგობაში მოვიდოდა დაცვის უფლებასთან, პირის კონსტიტუციური უფლება კი არ შეიძლება შეიზღუდოს, იმის გამო რომ მისი, როგორც კლიენტის, მიერ ადვოკატისთვის გაზიარებული ინფორმაცია გამჭვირვალე გახდება.

დასკვნა:

პროფესიული საიდუმლოების ცნება მოიცავს როგორც კონფიდენციალურ, ისე ხელშეუხებელ ინფორმაციას. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებსაც ითვალისწინებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და პროფესიული ეთიკის კოდექსი. რაც შეეხება ხელშეუხებელ ინფორმაციას, დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, კანონმდებელი არ ითვალისწინებს მისი გამჟღავნების საგამონაკლისო შემთხვევებს, რადგან ამ ინფორმაციის გამოყენების ფარგლებს თავად კლიენტი განსაზღვრავს. პროფესიული პრივილეგია წარმოადგენს ადვოკატის უფლებას და არა ვალდებულებას. პროფესიული საიდუმლოების დაცვა დაცვის უფლების გარანტიაა, რის გარეშეც საადვოკატო საქმიანობა წარმოუდგენელია. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ არ გვაქვს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების საქართველოს კანონმდებლობლობით ამომწურავად განსაზღვრული საგამონაკლისო შემთხვევები ან ადვოკატი ფლობს ხელშეუხებელ ინფორმაციას, იგი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის წარმოებაში არსებულ საქმეებზე ინფორმაციის გადაცემით დაარღვევს პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას და დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/